აბულია - Aboulia - Абулия (ბერძ. abulia *გაუბედავობა, მერყეობა)*

ქცევის ნებელობითი მართვის მოშლა, ფსიქოპათოლოგიური სინდრომი. წარმოიქმნება თავის ტვინის შუბლისწილების დაზიანების და ზოგიერთი ფსიქიკური დაავადების დროს (შიზოფრენია, ნევროზები და სხვ.). ახასიათებს მოდუნებულობა, თუნდაც უბრალო ნებელობითი ქმედების შესრულების უუნარობა, ავადმყოფი მხოლოდ იმპულსურ ქცევებს ახორციელებს, თუმცა ცნობიერებას გადახრა არ ეტყობა. გასამიჯნია ნებისყოფის სისუსტისგან [ჰიპობულია; ყურადღების დარღვევა; ჰიპერაქტიურობა] და აპრაქსიისგან (აპრაქსია დარღვევა-არევაა, ხოლო **ა** – მოშლა-უუნარობა, თანაც არამარტო სენსომოტორულ დონეზე).